ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს რუკაზე რუსთავის თეატრის ლიდერული პოზიციონირება, როგორც ერთ-ერთი საინტერესო, მაღალპროფესიული და ნოვატორული თეატრის, პოპულარიზაციის შედეგად გაზრდილი მყარების რაოდენობა, ასევე ფორუმში გაერთიანებს მენეჯმენტისა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროებს.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 01 03		2019 წელი	270, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ – "რუსთავის ისტორიული მუზეუმი"			
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუზეუმი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებაა, დაცულია 35 000 ექსპონატი, იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს რუსთავის, ქვემო ქართლის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 27 თანამშრომელი, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას არაფორმალური განათლების გაცემის გზით, აწყობს დროებით გამოფენებს. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია იკვლევს და შეისწავლის რუსთავის ციხე-ქალაქის კომპლექსს, რითაც ამდიდრებს მუზეუმის ფონდებს. მუზეუმი საქმიანობას ეფუძნება ქვეპროგრამებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ფონდებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო საკმეების მართვის პროგრამა: აღრიცხავს, იცავს, იკვლევს პუბლიკაციისა და გამოფენებისათვის ამზადებს მუზეუმში დაცულ ექსპონატებს. 2. საგამოფენო და საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროგრამა – ამზადებს გამოფენებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს, ემსახურება ვიზიტორებს. 3. არქეოლოგიური პროგრამა – აწარმოებს რუსთავის ციხე-ქალაქის არქეოლოგიურ კვლევას, მოვლა-დაცვას. 4. არქივისა და ბიბლიოთეკის მართვის პროგრამა – იცავს და იკვლევს საარქივო დოკუმენტაციას, ემსახურება ბიბლიოთეკას. 			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაცული და მოვლილი კულტურული მემკვიდრეობა; შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების გზით არაფორმალური განათლების გავრცელება საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ქალაქისა და საქართველოს ისტორიით, ზოგადი ცოდნით განათლებული მოსწავლე-ახალგაზრდობა, თანამედროვე ხელოვნების არტისტების პოპულარიზაცია (დროებითი გამოფენების მეშვეობით); გაზრდილი ვიზიტორები და ეკონომიური სარგებელი, გამოცემული სამეცნიერო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, სამუზეუმო საკმის, ქალაქის ისტორიისა და კულტურის მიღწევების განვრცობა და პოპულარიზაცია საზოგადოების ფართო ფენებში.			

	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში
--	------	--	--------------------------



ქვეპროგრამის დასახელება	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა		
	05 02 01 04	2019 წელი	332, 2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა“		
ქვეპროგრამის აღწერა	საბიბლიოთეკო გაერთიანება შედგება ერთი მთავარი – ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკისგან და ოთხი ფილიალისგან: №1 ფილიალი შ.რუსთაველის სახ. საქალაქო ბიბლიოთეკა, №2 ფილიალი საბავშვო ბიბლიოთეკა ნაკადული, №3 ფილიალი ნ. ბარათაშვილი სახ. საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა, №4 ფილიალი ი. გოგებაშვილის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი შეადგენს 167 448 ეგზემპლარს. დასაქმებულია 51 თანამშრომელი რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს, წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, ერთად კითხვის სადამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენებს.		
	15 თანამშრომელი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მუშაობის შედეგებს, ღონისძიებების შემუშავებასა და კონტროლს. ახორციელებენ მკითხველის ინტერესების მონიტორინგს. თანამშრომლების ჩართულობას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. საზოგადოების ჩართულობას ლიტერატურულ, საგანმანათლებლო და მხატვრულ ღონისძიებებში. ელექტრონული კატალოგის დამუშავებას. სტატისტიკურ ანგარიშს ბიბლიოგრაფიული კალენდრის მიხედვით გაწერილი ღონისძიებების კონტროლსა და ჩატარების მაღალპროფესიულობას.		
	20 თანამშრომელი უშუალოდ მუშაობს ინდივიდუალურად ქალაქის წიგნიერ საზოგადოების ჩართულობაზე, მკითხველების სწრაფ და ხარისხიან მომსახურებაზე, მათი ინტერესების შესწავლას, პრაქტიკულ დახმარებას ახორციელებს წიგნადი ფონდის კატალოგიზაციის პროცესს, საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის დამუშავებას, ხელმისაწვდომობას მკითხველისათვის.		
	9 თანამშრომელი ახორციელებს კლუბური მუშაობის დანერგვაზე, მონიტორინგს ქალაქის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. პრეზენტაციებისა და ლექციური კურსის ჩატარებას კულტურულ აღმზრდელობითი განვითარების ხელშეწყობად. ამერიკის საელჩოს მიერ მემორანდუმის საუბელოზე ბიბლიოთეკასთან არსებული ამერიკული კუთხე – მუშაობს ინგლისური ლიტერატურის პროპაგანდას და ამერიკის თანამედროვე სტანდარტების გაზიარება, გაცნობა და დანერგვაზე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	3 ადამიანი ახორციელებს ბუღალტრული მატრეიალურ-ტექნიკური, შესყიდვების საქმიანობას, კონტროლს, ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ბრძანებებისა და შიდა დოკუმენტაციის რეესტრს.		
	ფონდების ორგანიზება ქართული და უცხოური წიგნებით, მონაცემთა ბაზების შექმნა. საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდების დანერგვა. ქალაქის მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებზე გათვლილი ღონისძიებები და კლუბური მუშაობების უზრუნველყოფა. ქალაქის მაცხოვრებლების ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და საკოლო ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება. განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების განხორციელება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02 02		2019 წელი	659, 2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – "სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა	ცენტრი გეგმავს და ახორციელებს საქალაქო კულტურულ ღონისძიებებს, ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია კულტურული ღონისძიებები ხასიათდებოდეს მაქსიმალური ეკლექტურობით და მეტად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული), ასევე ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მეტი ინტერესთა ჯგუფის და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით მათთან შეხვედრების ორგანიზება, ასევე ღონისძიებების აუდიტორიის გაზრდა მათი ინფორმირებულობის ამაღლების გზით			

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდამჭერა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 03		2019 წელი	370, 1
პროგრამის				



განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – "სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი" და ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური
პროგრამის აღწერა	ცენტრი გეგმავს და ახორციელებს პროექტებს ახალგაზრდული შემდეგი მიმართულებით – არაფორმალური განათლება (მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე 13 პედაგოგი), გართობა-დასვენება, მონაწილეობა – ახალგაზრდობის ჩართულობა საქალაქო საქმიანობაში პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე), რომელმაც მოიპოვა პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამისი დაფინანსება „დონორის“ მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც „დონორის“ დაფინანსებით ქალაქ რუსთავში ახორციელებს ამ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამის პროექტს. პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქ რუსთავში განსახორციელებელი ახალგაზრდა ინიციატორების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების თანადაფინანსებას.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა, ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინება და ახალგაზრდებთან ანგარიშვალდებულების გაზრდა რუსთავში არასამთავრობო სექტორის ჩართულობით ახალგაზრდების გააქტიურება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდამჭერი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 03 01		2019 წელი	270, 1
განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – "სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა	ცენტრი გეგმავს და ახორციელებს პროექტებს ახალგაზრდული შემდეგი მიმართულებით – არაფორმალური განათლება (მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე 13 პედაგოგი), გართობა-დასვენება, მონაწილეობა – ახალგაზრდობის ჩართულობა საქალაქო საქმიანობაში			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა, ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინება და ახალგაზრდებთან ანგარიშვალდებულების გაზრდა			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტების თანადაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 03 02		2019 წელი	100, 0
განმახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე), რომელმაც მოიპოვა პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამისი დაფინანსება „დონორის“ მიერ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც „დონორის“ დაფინანსებით ქალაქ რუსთავში ახორციელებს ამ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მიზნის შესაბამის პროექტს. პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქ რუსთავში განსახორციელებელი ახალგაზრდა ინიციატორების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების თანადაფინანსებას.			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	რუსთავში არასამთავრობო სექტორის ჩართულობით ახალგაზრდების გააქტიურება.			

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი



ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2019 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 916, 6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	293, 0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	293, 0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	3 623, 6
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	1 080, 1
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	5, 4
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	86, 1
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	292, 0
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	690, 0
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	1, 5
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	430, 0
06 02 08	მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება	205, 0
06 02 09	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	300, 0
06 02 10	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	21, 5
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	321, 0
06 02 12	სტუდენტთა სოციალური დახმარება	105, 0
06 02 13	სოციალური დახმარებების პროგრამა	40, 0
06 02 14	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	6, 0
06 02 15	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	40, 0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 01		2019 წელი	293, 0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი			
	ა(ა)იპ – ქ.რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრში დასაქმებულია 42 თანამშრომელი. ცენტრი სტრუქტურა მოიცავს 2 დეპარტამენტს: მონიტორინგის და ადმინისტრაციის დეპარტამენტი და ეპიდზედამხედველობის დეპარტამენტი. სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:			
	1. ეპიდზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიება			
	2. მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიება			



პროგრამის აღწერა	3. ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიება
	4. მალარიის ელიმინაციის ღონისძიება
	5. რუსთავის საცხოვრებელი ბინების დერატიზაცია
	6. სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიება
	7. ქალაქ რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლების და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 01 01		2019 წელი	293, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა	ააიპ – ქ.რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრში დასაქმებულია 42 თანამშრომელი. ცენტრი სტრუქტურა მოიცავს 2 დეპარტამენტს: მონიტორინგის და ადმინისტრაციის დეპარტამენტი და ეპიდზედამხედველობის დეპარტამენტი. სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:			
	1. ეპიდზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიება			
	2. მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიება			
	3. ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიება			
	4. მალარიის ელიმინაციის ღონისძიება			
	5. რუსთავის საცხოვრებელი ბინების დერატიზაცია			
	6. სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიება			
	7. ქალაქ რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის „საშიში“ და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლების და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიება			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02		2019 წელი	3 623, 6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
	სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: 1) მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება. 2) სარიტუალო მომსახურებებს რომლებიც იყოფა ა) ვეტერანების სარიტუალო მომსახურებად და მარტოხელა სოც. დაუცველთა სარიტუალო მომსახურებად. 3) შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე 4) შეღავატი მუნიციპალურ ტრანსპორტზე ა) სოც.დაუცველთა პირთა შეღავათები, ბ) ვეტერანთა შეღავათები, გ) სსიპ-ების და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები.დ) შშმ პირთა შეღავათები. 5)ინდივიდუალური დახმარების პროგრამები, რომელიც იყოფა ა) ომის ვეტერანთა			



პროგრამის აღწერა	კომუნალური მომსახურების დაფარვა, ბ) მინდობითი ოჯახების კომუნალური მომსახურების დაფარვა, გ) ოპერაციული მკურნალობის მომსახურების დაფარვა, დ) C ჰეპატიტით დაავადებულთა სამედიცინო კვლევის დაფინანსება, ე) რეინტეგრირებული ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა.ნ) უზუცეს მოქალაქეთა დახმარება.8) რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელსეწყობა. 9) მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება. 10) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. 11) საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა მატერიალური დახმარება, რომელიც მოიცავს ა) დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება, ბ) საბრძოლო ოპერაციებსა და სამშობლოს მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება. 12) შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს ა) აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია ბ) შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარება გ) მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი. 13) სტუდენტთა სოციალური დახმარება. 14) სოციალური დახმარების პროგრამა. 15) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხრადამჭერის პროგრამა 16) დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქრუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო უზრუნველყოფილი გარემო და სხვადასხვა მიზნობრივი სოციალურად უზრუნველყოფილი მიზნობრივი ჯგუფები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 01		2019 წელი	1 080, 1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობის, მრავალშვილიანი ოჯახების და შშმ პირების ყოველდღიურად ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს 1900 ბენეფიციარი.		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი		სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მინიმალური საკვებით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარიტუალო მომსახურებები	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 02		2019 წელი	5, 4
ქვეპროგრამის მახორციელებელი სამსახური		ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) "სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ოჯახები. პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯების დაფარვა. რუსთავში მცხოვრები დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისათვის დაკრძალვის ხარჯების დაფარვა. პროგრამა მიზნად ისახავს, ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას.		
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი		სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი. სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეღვათები სასმელი წყლის გადასახადზე	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 03		2019 წელი	86, 1



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ, ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 57 000-ს არ აღემატება (შემდგომში "ბენეფიციარი")
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესება. რუსთავში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის წყლის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 04		2019 წელი	292, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	<p>1. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-ს არ აღემატება და რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამის შესაბამისად შეღავათი გულისხმობს ბენეფიციარისათვის თვეში 60-ჯერ უფასო მგზავრობას</p> <p>2. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). და შესაბამისი უწყების მიერ მიღებული აქვთ ვეტერანის მოწმობა (სტატუსი) და ფიქსირდებიან სსიპ – "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში. პროგრამის შესაბამისად შეღავათი გულისხმობს ვეტერანებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე ბენეფიციარისათვის თვეში 60-ჯერ უფასო მგზავრობას.</p> <p>3. პროგრამით მოსარგებლეთა ჯგუფს წარმოადგენს სსიპ – ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ა(ა)იპ – რუსთავის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“, ა(ა)იპ – „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ – „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების“, ა(ა)იპ – „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“, ა(ა)იპ – „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“, ა(ა)იპ – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“, ა(ა)იპ – „რუსთავსერვისცენტრი“ თანამშრომლები. პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ზოგიერთი სსიპ-ისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომელთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე შეღავათის დაწესება.</p> <p>4. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტატუსით „უსინათლო“ პირები, რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამის შესაბამისად შეღავათი გულისხმობს ბენეფიციარისათვის თვეში 60-ჯერ უფასო მგზავრობას</p>			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	უფასო მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 05		2019 წელი	690, 0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	<p>1. პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი მებრძოლების (ვეტერანი) ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კომუნალური გადასახადების დაფარვა (გაზი, ელ. ენერჯია). პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500, 00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი</p> <p>2. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში ქალაქ რუსთავში მცხოვრები ბავშვის მინდობით აღზრდაში მიმღები ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). რეგისტრაციასთან დაკავშირებული შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ იმ ოჯახზე, რომელიც ბავშვს იღებს მინდობით აღზრდაში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბავშვის მინდობით აღზრდაში მიმღები ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500, 00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.</p> <p>3. აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ის მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კარდიოქირურგიული და გეგმიური ქირორგიული სამედიცინო მომსახურება, კომპიუტერული გამოკვლევები 0-70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000 -ს და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტი ფარავს მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი თანხის სრულ ოდენობას, ხოლო დანარჩენ კატეგორიას მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ნახევარს.</p> <p>4. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა.</p> <p>5. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ბავშვისთვის მოითხოვება მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. ამ პროგრამის მიზნებისთვის რეინტეგრირებული ბავშვი გულისხმობს 1-დან 18 წლამდე ბავშვს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500, 00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.</p>
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	<p>კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფილი ვეტერანები</p> <p>ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), ბავშვის მინდობით აღზრდაში მიმღები ოჯახები მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილი საჭირო ბუნებრივი აირითა და ელექტროენერჯიით.</p> <p>ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, პრევენციის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა.</p> <p>C ჰეპატიტის ელიმინაცია საქართველოში და რუსთავში ამ ვირუსით გამოწვეული ავადობის, შემცირებული სიკვდილიანობა და ახალი პრევენციური შემთხვევები.</p> <p>ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირითა და ელექტროენერჯიით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 02 06	უზუცეს მოქალაქეთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში 2019 წელი 1, 5	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
	უზუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები ასი წლის და ას წელს გადაცილებული უზუცესი მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში			



ქვეპროგრამის აღწერა	რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების ერთჯერადი მატერიალური დახმარება წელიწადში 300 ლარის ოდენობით.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 07		2019 წელი	430, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, , რუსთავის მოხუცებულთა სახლი"			
ქვეპროგრამის აღწერა	ააიპ – რუსთავის მოხუცებულთა სახლის პროგრამა გათვლილია სოციალურად დაუცველ, მზრუნველობა მოკლებულ 50 ბენეფიციარზე. ამ პროგრამის განხორციელებას ემსახურება 35 თანამშრომელი მათ შორის: სამედიცინო პერსონალი, მომვლელები, მზარეულები და ადმინისტრაცია. აღნიშნული პერსონალის მიერ 24 საათის განმავლობაში ხდება ბენეფიციარების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, კვებით უზრუნველყოფა და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ხდება მათი გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება დაწესებულების ბიუჯეტის მიერ.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა და სოციალურად დაუცველი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცებისათვის მყუდრო გარემოს უზრუნველყოფა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 08		2019 წელი	205, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქ.რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) სოციალურად დაუცველი (0-დან 70 001-მდე ქულის მქონე) მოქალაქეები და შშმ პირები, რომელთა მედიკამენტების შესაძენად წელიწადში გათვალისწინებულია არაუმეტეს 100(ასი) ლარისა. ასევე, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების და მოზარდების უზრუნველყოფა გლუკომეტრების ტესტ-ჩხირებით, კვარტალში არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქ.რუსთავში მოსახლეობის მედიკამენტებით ხელმისაწვდომობის გაზრდა, დიაბეტთან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს ზემოთ საჭირო ტესტ-ჩხირებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 09		2019 წელი	300, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
	პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა			



ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი. პროგრამით დადგენილი არაუმეტეს 1 წლიანი რეგისტრაცია (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მოეთხოვება მშობელს (განმცხადებელს), ხოლო პროგრამის ბენეფიციარებს (მათ შვილებს) მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. მატერიალური დახმარება გაიცემა 18 (თვრამეტი) წელს მიუღწეველი შვილების რაოდენობის გათვალისწინებით. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაწევა.
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 10		2019 წელი	21, 5
ქვეპროგრამის მახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	<p>1. პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების (13 ვეტერანი) 9 მისისა და გათანაბრებულ პირთა (47 გათანაბრებული) 27 სექტემბერს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.</p> <p>2. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) დაღუპულთა ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. პროგრამით მოსარგებლე თითოეული ოჯახი მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 150 ლარის ოდენობით.</p>			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	<p>მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირების ფინანსური უზრუნველყოფა.</p> <p>ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური თანადგომა.</p>			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 11		2019 წელი	321, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	<p>1. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ბენეფიციარები, რომელთაც დადგენილი აქვთ ICD-10-ით განსაზღვრული შემდეგი კლასიფიკატორები - G80, Q90 და R62 წლიურად ფინანსდებიან არაუმეტეს-- 600 ლარით. ხოლო ის ბენეფიციარები, რომელთაც დადგენილი აქვთ ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორი - F84, წელიწადში ფინანსდებიან არაუმეტეს 2000 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვების (შემდგომში – ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სოციალური, შემეცნებითი, თვითმოვლის, ფიზიკური და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა, ასევე 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს და რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო და ამასთან დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს. პროგრამის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კომუნალურ გადასახადებზე (გაზი, ელ. ენერჯია) შეღავათის დაწესება.</p>			



	<p>პროგრამით მოსარგებლე თითოეული ბენეფიციარის ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა;</p> <p>ა) ბუნებრივი აირით სარგებლობისათვის – 240 ლარი;</p> <p>ბ) ელექტროენერგიით სარგებლობისათვის – 240 ლარი;</p>
	<p>3. ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის" მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ესაჭიროებათ ტოტალურ უსინათლოთა გადაადგილება გამცილებლის მეშვეობით: სამედიცინო დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში.</p> <p>პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ტოტალურ უსინათლოთა უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით.</p>
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	<p>ა) უტიზომის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა სტიმულირების, თვითმოვლის, შემეცნების, მოტორიკის, ფიზიკური და კომუნიკაციური უნარების შექმნა.</p> <p>ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით და ელ. ენერგიით.</p> <p>ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლოთა უზრუნველყოფილი გამცილებლის მომსახურებით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტუდენტთა სოციალური დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 12		2019 წელი	105, 0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური
--	--

ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის სოციალური დახმარების გაცემას:</p> <p>1) მატერიალური წახალისება (მგზავრობის დაფინანსება);</p> <p>მატერიალურ წახალისება გულისხმობს თვეში არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით მგზავრობის ღირებულების გადასახადს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტებისათვის, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;</p> <p>ბ) არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს;</p> <p>გ) არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;</p> <p>დ) არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს.</p> <p>2) სწავლის საფასურის დაფარვაში ხელშეწყობა.</p> <p>სწავლის საფასურის დაფარვა გულისხმობს არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით სწავლის საფასურის გადახდას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტებისათვის, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;</p> <p>ბ) არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;</p> <p>გ) არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.</p> <p>დ) არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს;</p> <p>ე) სტუდენტები, რომელთა ოჯახები არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ან მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 100 000-ს.</p>
---------------------	---

მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული სტუდენტების მატერიალური დახმარებით წახალისება ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა.
------------------------------	---



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 13		2019 წელი	40, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარიცინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს); დღის ცენტრი და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ბენეფიციარები; დღის ცენტრი „საპოვნელას“ ბენეფიციარები; შპს „მუნიციპალური მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარები“; ააიპ – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ ბენეფიციარები; ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები; 2004 წლის აგვისტოს თვეში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული რუსთაველი მებრძოლების ოჯახები (მცხოვრები და რეგისტრირებული). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახები (რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული). პროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე პირების სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ნივთებითა და ტკბილეულით დასაჩუქრება. 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 1 ივნისი-ბავშვთა დღის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და შობა-ახალ წელთან დაკავშირებით საჩუქრების შექმნა-გადაცემა.			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და სადღესასწაულო წახალისება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 14		2019 წელი	6, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქ რუსთავის მცხოვრები რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას ფინანსურ დახმარებას წელიწადში არაუმეტეს 1200, 00 (ერთი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით. პროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნებს მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში სულ მცირე 2 წელი გაატარეს. პროგრამა განკუთვნილია 18-24 წლის ახალგაზრდებისათვის.			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	პროგრამის ბენეფიციარების ხელშეწყობა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. მათი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის უზრუნველყოფა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში	
	06 02 15		2019 წელი	40, 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების (შემდგომში – ბენეფიციარი) ტრანსპორტის ხარჯების შემცირების მიზნით დახმარებას (ყოველთვიური მატერიალური დახმარება). დახმარება მოიცავს თვეში 60, 00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.			
მოსალოდნელი მიზანი და შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარებისთვის დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით დადგენილი მომსახურების უწყვეტად მისაღებად ტრანსპორტის ხარჯების შემსუბუქება.			



6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

